კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.napr.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 03 დეკემბერს

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

www.napr.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
72.22%
75.12%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
63.16%
56.33%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
45.00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
28.00%
24.43%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
37.50%
36.22%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
42.31%
49.91%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40.00%
56.50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
60.00%
19.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14.29%
19.00%
0.00%
20.00%
40.00%
60.00%
80.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სააგენტოს თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა და მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

თავმჯდომარის სახელი და გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მენეჯმენტი“ – „სააგენტოს თავმჯდომარე“:

2. საჯარო რეესტრის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, ხოლო, შემოკლებული დასახელება - „საჯარო რეესტრი“ ან „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“; ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ საჯარო რეესტრის ერთ-ერთი შემოკლებული დასახელება, სასურველია მოცემული იყოს , აგრეთვე, სრული სახელწოდება:

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, საჯარო რეესტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და ფაქსის ნომერი:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საჯარო რეესტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება საჯარო რეესტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მისია“ წარმოდგენილია ძალზედ მწირი ინფორმაცია საჯარო რეესტრის მისიის შესახებ. სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში, განთავსდეს აგრეთვე, საჯარო რეესტრის მოქმედი დებულებით განსაზღვრული საჯარო რეესტრის მიზნებისა და ფუნქციების აღწერა:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საჯარო რეესტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე), ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოცემულია მხოლოდ სტრუქტურის ინფორმაციული აღწერა:

სტრუქტურა

სააგენტო შედგება **სათაო ოფისისა** და **მომსახურების ოფისებისაგან...**

სათაო ოფისი შედგება **18 სამსახურისაგან.** თითოეული სამსახურის ფუნქციები განისაზღვრება დებულებით, რომელიც მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით...

განასხვავებენ მომსახურების ოფისის 2 ტიპს: **ტერიტორიულ ოფისსა** და **ავტორიზებულ ოფისს...**

ტერიტორიული ოფისი სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია, რომელიც თითოეულ მუნიციპალიტეტსა თუ არამუნიციპალური დაქვემდებარების ქალაქში ფუნქციონირებს. ამჟამად ქვეყანაში **65** ტერიტორიული ოფისი მოქმედებს. თითოეული ტერიტორიული ოფისის ფუნქციები განისაზღვრება დებულებით, რომელიც მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით...

ავტორიზებული ოფისი სუბიექტია, რომელიც ახორციელებს საჯარო რეესტრის ფრონტ ოფისის ფუნქციებს მოქმედი კანონმდებლობისა და სააგენტოსთან დადებული **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის** საფუძველზე. დელეგირებული ფონტ ოფისის ფუნქციები ექვემდებარება მუდმივ კოორდინაციასა და მონიტორინგს სააგენტოს მხრიდან. ამჟამად ქვეყანაში **300-ზე მეტი** სუბიექტი (ნოტარიუსები, კომერციული ბანკები და ა.შ.) ახორციელებს საჯარო რეესტრის ფრონტ ოფისის ფუნქციებს...

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ – „სათაო ოფისი“ მოცემულია მხოლოდ იმ სამართლებრივი აქტის დასახელების აღწერა, რომლითაც განისაზღვრება თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციები:





სათაო ოფისი

კარტოგრაფიის და გეოდეზიის სამსახური

მისამართი... **ქალაქი თბილისი... წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქუჩა #2**

საფოსტო ინდექსი... **0102**

ტელეფონი... **2 25 15 28 [4029]**

ელ. ფოსტა... ghahubia@napr.gov.ge

ხელმძღვანელი... **ხახუბია გალაქტიონი**

სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები განსაზღვრულია **დებულებით**, რომელიც დამტკიცებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 5 ივლისის #638/ს ბრძანებით *კარტოგრაფიის და გეოდეზიის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ...*

სათაო ოფისი

რეგისტრაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის სამსახური

მისამართი... **ქალაქი თბილისი... წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქუჩა #2**

საფოსტო ინდექსი... **0102**

ტელეფონი... **2 25 15 28 [3017]**

ელ. ფოსტა... vtsartsidze@napr.gov.ge

ხელმძღვანელი... **ცარციძე ივანე**

სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები განსაზღვრულია **დებულებით**, რომელიც დამტკიცებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2008 წლის 19 მაისის #309 ბრძანებით *რეგისტრაციისა და კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ...*

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა, ხოლო არასრული სახით არის წარმოდგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მენეჯმენტი“ – „სათაო ოფისის მენეჯმენტი“ არ არის მოცემული შემდეგი ორი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელების ფოტოსურათი:

  - საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის უფროსის:

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის უფროსი

ვაკო (ვლადიმერ) მაღწარაძე

დაიბადა 1975 წლის 10 ნოემბერს ქალაქ თბილისში...

1997 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით პოლიტიკური ეკონომიისა და საბაზრო ეკონომიკის თეორია...

1997 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით სამართალმცოდნეობა...

- ❖ გირავნობის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის სამსახურის უფროსის (მასთან, მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება არასწორად არის წარმოდგენილი):

საჯ. შეზღუდვის და საგად. გირავნობა/ იპოთეკის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი

წიწო ბახია

დაიბადა 1981 წლის 24 სექტემბერს ქალაქი თბილისში...

2003 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია და მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი...

2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით სამართალმცოდნეობა...

2005 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია და მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი...

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფაქსისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ – „სათაო ოფისი“ სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების საკონტაქტო რეკვიზიტებიდან მოცემულია მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მისამართები:







- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საჯარო რეესტრის ტერიტორიული ორგანოების (ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების) შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ხელმძღვანელების ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მენეჯმენტი“ – „ტერიტორიული მენეჯმენტი“ მოცემულია ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:

- არ მოიძიება ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მათი საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ „ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ – „მომსახურების ოფისი“ – „ტერიტორიული ოფისი“ განთავსებულ ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების საძიებო სისტემაში წარმოდგენილია მათი ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტებიდან მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მისამართები:





ამასთან, აღნიშნულ საძიებო სისტემაში არ არის წარმოდგენილი შემდეგი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ხელმძღვანელების ელექტრონული ფოსტის მისამართები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - ქობულეთის მუნიციპალიტეტი:



❖ იმერეთის რეგიონი - ხონის მუნიციპალიტეტი:



❖ მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები:





❖ ქვემო ქართლის რეგიონი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი:



- არ არის მოცემული ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ფაქსის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები, ხოლო, არასრული სახით არის წარმოდგენილი შემდეგი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

❖ იმერეთის რეგიონი - თერჯოლის მუნიციპალიტეტი:



❖ მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - ახალგორის მუნიციპალიტეტი:



❖ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი - ცაგერის მუნიციპალიტეტი:



❖ შიდა ქართლის რეგიონი - ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები:





ამასთან, ზემოაღნიშნულ საძიებო სისტემაში არ არის წარმოდგენილი შემდეგი ტერიტოიული სარეგისტრაციო სამსახურების ადგილმდებარეობის (ქუჩის აღმნიშვნელი) მისამართები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - ხელვაჩაურის, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები:







- გურიის რეგიონი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა (ვრცელი) და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საჯარო რეესტრის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, გეგმები (მართალია არსებობს განყოფილება „გეგმები“ თუმცა მასში განთავსებული დოკუმენტი არ იხსნება) და პროგნოზები, პროგრამები და პროექტები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ელექტრონული მომსახურებები“ არსებული ქვე-განყოფილება „საგადასახადო მომსახურებები“ არ იხსნება:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ექსკლუზიურად შენთვის“ არსებული ქვე-განყოფილება „აზომე ზუსტად“ ცარიელია:



აგრეთვე, არ იხსნება ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ექსკლუზიურად შენთვის“ არსებული შემდეგი ქვე-განყოფილებები:

- „თრეინინგის ოთახი“;
- „ონლაინ თრეინინგი“;
- „ანიმაციური დახმარება“:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ბმულები“ განთავსებული ზოგიერთი ბმული არ იხსნება:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „გეგმები“ განთავსებული ბმული „2010-2012“ არ იხსნება:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საჯარო რეესტრის თავმჯდომარის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და აგრეთვე, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ.

10. საჯარო რეესტრის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ცნობები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პორტალები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ამბების ოთახი“ – „ნიუსები“ რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლსიათვის. სასურველია, შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ახალი ამბები“ სადაც განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია.

აღსანიშნავია იცის, რომ აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი საინფორმაციო ხასიათის ცნობები ძალზედ მწირია, ხოლო, უკანასკნელი საინფორმაციო ხასიათის ცნობა თარიღდება 2011 წლის ივნისის თვით, რაც მომხმარებელს არ აძლევს საშუალებას გაეცნოს საჯარო რეესტრის საქმიანობის შესახებ 2011 წლის ივნისის თვემდე განხორციელებულ საქმიანობას.

22.11.2011 **საჯარო რეესტრში სტუდენტები ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურებს გაეცნენ...**

დღეს, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს... »

21.11.2011 **საჯარო რეესტრის ჯილდო GITI 2011 კონფერენციაზე...**

GITI 2011 კონფერენციაზე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საუკეთესო ინფორმაციული ტექნოლოგიის სისტემების კომპლექსური განვითარებისთვის მოიპოვა... »

21.11.2011 **საჯარო რეესტრი და საინფორმაციო ცენტრი 09... ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი...**

დღეს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საინფორმაციო ცენტრ 09 შორის... »

21.11.2011 **განახლებული ვებ საიტი**

საჯარო რეესტრი ახალ ვებ საიტს გთავაზობს... »

11.11.2011 **ა.წ. ოქტომბერში ქვეყანაში 4 504 ბიზნეს სუბიექტი შეიქმნა...**

2011 წლის ოქტომბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 8.3%-ით გაიზარდა... »

10.11.2011 **უძრავი ქონების ბაზარი ზრდას განაგრძობს...**

2011 წლის ოქტომბრის თვეში უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 20.7%-ით გაიზარდა... »

04.11.2011 **ლილოში არქივის თანამედროვე შენობა გაიხსნა...**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ქალაქდასაფუძვლიანი დოკუმენტაციის უსაფრთხოდ შენახვისა და დაცვისათვის დიდ ლილოში ააშენა თანამედროვე არქივი... »

03.08.2011 **უძრავი ქონების ბაზარი იზრდება...**

2011 წლის ივლისის თვეში უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 22.5%-ით გაიზარდა... »

« 1 2 »

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“ სადაც განთავსდება საჯარო რეესტრის საქმიანობის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

12. სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია ალოგიკურ განყოფილებაში, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პორტალები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პუბლიკაციები“ – „პერიოდული პუბლიკაციები“ და „ცხელი პუბლიკაციები“, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:





სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტატისტიკა“, სადაც განთავსდება ზემოაღნიშნულ ქვე-განყოფილებებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე

მხარეს წარმოადგენს საჯარო რეესტრი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო რეესტრი.

14. მართალია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებობს ქვე-განყოფილება „პარტნიორები“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ პარტნიორ საქართველოს ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საჯარო რეესტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ექსკლუზიურად შენთვის“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ – „საკანონმდებლო აქტები“ განთავსებული ორი სამართლებრივი აქტი - საქართველოს კანონი „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ და საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ მოცემულია ძველი მდგომარეობით:



ამასთან, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში სასურველია განთავსდეს აგრეთვე, საჯარო რეესტრის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებები) (მათ შორის საჯარო რეესტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების დებულებები, საჯარო რეესტრის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი, აგრეთვე, საჯარო რეესტრის საშტატო თანამშრომლეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა).

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში ასევე, განთავსდეს საჯარო რეესტრის მიერ მომზადებული საჯარო რეესტრის, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრისა და მისამართების სფეროში მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები და აგრეთვე, დარგის განვითარებისთვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიულ-ტექნიკური შინაარსის აქტების პროექტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - საჯარო რეესტრის დებულება და შინაგანაწესი (რომლებიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ მოცემულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, თუმცა, სასურველია ვებ-გვერდზე შეიქნას საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება, სადაც ზემოაღნიშნულ იფორმაციასთან ერთად , აგრეთვე, განთავსდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საჯარო რეესტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია და ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები:



*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს **„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელბიც მოიცავენ საჯრო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაოაბზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საჯარო რეესტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/sajaroreestri_sajaro_info.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საჯარო რეესტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, საჯარო რეესტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, საჯარო რეესტრის მიერ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კარიერა“ – „ვაკანსიები“ განთავსებულია მხოლოდ ორი განცხადება:



სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი ინფორმაცია:

- არ მოიძიება საჯარო რეესტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო რეესტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიეული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საჯარო რეესტრი მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/sajaroreestri_xelfasebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა,

რაც შესაძლებელს ხდის საჯარო რეესტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/ganatleba_xelfasipremia.pdf

აგრეთვე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წელს მოთხოვნილ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე , 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე საჯარო რეესტრის თანამშრომლეთა სია და ინფორმაცია თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც აგრეთვე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საჯარო რეესტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/samoqalaqoreestri_xelfasi.pdf);

არ მოიძიება საჯარო რეესტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო რეესტრი; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათავლი და თითოეულ პროექტზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც აგრეთვე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საჯარო რეესტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/sdajaroreestri_proeqtebi.pdf);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საჯარო რეესტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:


ტექნიკური პარამეტრების გამართულობა და არსებობა ოფიციალურ ვებ-გვერდზე
48.71%
51.29%
www.napr.gov.ge ელ-მმართველობის ხარისხი


ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
40.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
61.11%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
60.00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
50.00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
50.00%
10. ელექტრონული სერვისები
50.00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
66.67%
0
0.2
0.4
0.6
0.8

- **ძიება**

ვებ-გვერდს უნდა ჰქონდეს საერთო ძიება, რომლის მეშვეობით მომხმარებელი მოძებნის ნებისმიერ ინფორმაციას რაც ვებ-გვერდზეა ატვირთული. მსგავსი ძიების მოდული ამჟამად ვებ-გვერდზე არ არსებობს:



- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდს აშკარად ეტყობა, რომ ჯერ-ჯერობით დაუსრულებელია, თუმცა ამის მიუხედავად ვებ-გვერდზე არ უნდა იყოს ისეთი ბმულები, რომლებსაც უფუნქციოა:

ამჟამად ასეთი ბმული საკმაოდ ბევრია;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ზოგიერთ კატეგორიაში გამოყენებულია ფონტის ძალიან მცირე ზომა, რაც ართულებს ტექსტის მარტივად აღქმას:



ფონტის ზომა, სასურველია იყოს 12 პიქსელი ან მეტი;

ვებ-გვერდზე არსებობს ისეთი კატეგორიები, რომლებიც ჯერ კიდევ მზადების პროცესში არიან. მსგავს კატეგორიებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია მზადების პროცესშია. არც-ერთი კატეგორია არ უნდა იყოს ცარიელი. აღნიშნულის გამო მომხმარებელს ჰგონია, რომ ვებ-გვერდს ხარვეზი აქვს, ან იგი აკეთებს რამე არასწორ მოქმედებას:



ვებ-გვერდზე ნავიგაციისას, პროგრამულ კოდს გადავყავართ სხვადასხვა მისამართზე:



მაგალითად იუსტიციის სახლის ვებ-გვერდზე, რამაც მომხმარებლი შესაძლოა დააბნიოს, რადგან ყველა ვებ-გვერდს აქვს განსხვავებული ვიზუალური მხარე და ასევე განსხვავებული ნავიგაცია;

ვებ-გვერდს გააჩნია შემოსავლების ვიზუალიზაციის მოდული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია:

სასურველია მოხდეს ვებ-გვერდზე გამოყენებული ინგლისური ტერმინების ქართულად თარგმნა:



- ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვებ-გვერდი ჯერ კიდევ მზადების პროცესშია, თუმცა სამუშაო პროცესი არ უნდა შეეხოს მომხმარებელს, მათ ვებ-გვერდმა უნდა მიაწოდოს სრულყოფილი სერვისი ხარვეზების გარეშე.
ამ მხრივ ვებ-გვერდს აქვს კიდევ ერთი ნაკლი ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში გამოყენებულია ქართული ნავიგაცია:

ხოლო ვებ-გვერდის რუსული ვერსია საერთოდ არ არსებობს და რუსულენოვან ვერსიაზე გადასვლით ვხვდებით, ისევ ქართულენოვან ვერსიაში:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე მუშაობა Internet Explorer-ის გამოყენებით შეუძლებელია, რაგან მასზე ყოველთვის ვარდება შეტყობინება შეცდომის შესახებ:



ეს შეცდომა გამოწვეულია არასწორი პროგრამული კოდით (Client Side - Javascript);

ვებ-გვერდს გააჩნია ავტორიზაციის მოდული:



თუცა არასწორი სახელისა და პაროლის შეყვანის შემთხვევაში არსად არ აღინიშნება, რომ ავტორიზაცია წარუმატებლად განხორციელდა. ამ შემთხვევაში დასახვეწია რეპორტინგის სისტემა;

ვებ-გვერდის „ციფრული რუკების“ ბანერზე განთავსებული რამოდენიმე რუკის სანახავად მომხმარებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინსტალირებული პროგრამა (პლატფორმა) silverlight-ი. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ოპერაციულ სისტემას Windows როგორც წესი არ მოყვება Silverlight-ის პლატფორმა, ამიტომ მომხმარბელეს უწევს მისი თავად დაყენება, ხშირად მომხმარებელი ვერ ან არ აყენებს მისთვის უცხო პროგრამებს და შედეგად დამზადებული

რუკები ზოგიერთ შემთხვევაში უსარგებლო ხდება. ასევე პრობლემაა ისიც, რომ პლატფორმა Silverlight-ი არ ყენდება უმეტესობა პორტატულ ციფრულ მოწყობილობებზე (Ipad, mobile phones, Iphone, O/S android):

- **ონლაინ სერვისები**

მონიტორინგის პერიოდში ვებ-გვერდზე აღმოჩნდა, ძალიან სასარგებლო ონლაინ სერვისი, რომელსაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი:



ონლაინ ვიდეო კონსულტაცია ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მომხმარებლისთვის. ეს ჯერ-ჯერობით ერთადერთი პრეცენდენტია მონიტორინგის განმავლობაში;

ასევე, ვებ-გვერდს გააჩნია განმარტებითი ლექსიკონი (გლოსარიუმი) რაც კიდევ უფრო სასარგებლოს ხდის ვებ-გვერდს:



- **უსაფრთხოება**

რადგან ვებ-გვერდზე განთავსებულია ონლაინ სერვისები და მათ შორის ავტორიზაციის მოდული, ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დაცული პროტოკოლის მხადაჭერაც (HTTPS) რომელიც ამჟამად ვებ-გვერდს არ გააჩნია:

- **დამატებითი პარამეტრები**

ყველა კატეგორიას უნდა ჰქონდეს თავისი დასახელება და აღწერა (Document Title, description)



ამ დეტალების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ხდება არასრულყოფილი ინდექსაცია საძიებო სისტემებში;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი იმყოფება მზადების პროცესშია, მიუხედავად ამისა ვებ-გვერდმა მომხმარებელს უნდა შესთავაზოს უკვე დასრულებული სერვისებ. სჯობს ისეთი სერვისებs, რომლებიც არ მუშაობს, ან ტესტირების რეჟიმში იმყოფება, ტესტირება ჩაუტარდეს ლოკალურ სერვერებზე და მომხმარებელს დროებით ვებ-გვერდზე არ ჰქონდეს წვდომა ამ სერვისებთან. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდი გამორჩეულია სხვა საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების ფონზე თავისი ონლაინ სერვისებით, სასარგებლო ფუნქციებით და თანამედროვე დიზაინით, თუმცა ეს ყველაფერი საჭიროებს კიდევ უფრო დახვეწას და სრულყოფას.